# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 2/07/11/3

მომსახურების შესყიდვა

ქ. თბილისი 1 ივლისი, 2011 წელი

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი", მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის №127, ტელეფონი: 91-55-33; მისი ხელმძღვანელის ნიკოლოზ მემანიშვილის სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს "სკს"-TNT-ის წარმომადგენელი საქართველოში, მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ქ. №25, ტელეფონი: 91-02-20; მისი გენერალური დირექტორის ნინო მენთეშაშვილის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია "საფოსტო და საკურიერო მომსახურება" (CPV-64100000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. **შესყიდვების ობიექტი და მიწოდების გრაფიკი**

2.1. მიმწოდებელი, ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად, კისრულობს შემსყიდველისათვის შეასრულოს შეკვეთა, რომელიც ითვალისწინებს კურიერულ მომსახურეობას, დოკუმენტებისა და ამანათების გაგზავნას იმ ვადების, ტარიფების და პირობების შესაბამისად, რომელიც შეთანხმებულია ამ ხელშეკრულებით და არის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

3. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2 <u>შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1000 (ერთი ათასი) ლარს.</u>

4. **შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას მასზედ, რომ მის მიერ შესრულებული მომსახურეობა შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს.

5. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები**

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება კონკრეტული გზავნილის ზედდებულის შედგენისას, მხარეთა შეთანხმებით.

## 6. შესყიდვის ობიქტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მიწოდებული მომსახურება შემსყიდველისათვის ჩაბარებულად ითვლება მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურეობაზე ინვოისის, ანგარიშ-ფაქტურის და სტანდარტული ზედნადების წარმოდგენის შემთხვევაში, დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტით.

## 7. ანგარიშსწორების პირობები

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
7.2 შესყიდვების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, 7.3. პუნქტში აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 დღის განმავლობაში.
7.3 ანგარიშსწორებისთვის მიმწოდებელმა უნდა წარადგინოს ინვოისი (დედანი), სატრანსპორტო ზედდებული (დედანი), ანგარიშფაქტურა (დედანი) და მიღება-ჩაბარების აქტი (დედანი).

## 8. შემსყიდველის უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს, მოსთხოვოს მიმწოდებელს გზავნილის შეუფერხებელი მიწოდება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებლის ყველა და ნებისმიერი ვალდებულების შესრულება და შემსყიდველის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციისთვის ხელშეწყობა.
8.2 შეამოწმოს მიწოდებული მომსახურეობის ხარისხი და ხარვეზების შემთხვევაში მოსთხოვოს მიმწოდებელს მისი აღმოფხვრა.
8.3 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით მიწოდებული საქონლის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება.
8.4 შემსყიდველი ვალდებულია ხელი მოაწეროს გაგზავნასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს: სატრანსპორტო ზედნადებს და ფაქტურას, რომელსაც წარმოადგენს კურიერი. გასაგზავნი დოკუმენტები და ამანათები უნდა შეიცავდეს მიმღების სრულ და ზუსტ მისამართს, საფოსტო კოდს, ტელეფონის და ფაქსის ნომერს. თუ ზემოთ აღნიშნული პირობა არ იქნა შესრულებული, მიმწოდებელი ვერ იძლევა გარანტიას გზავნილის დროულად მიწოდებაზე და არ კისრულობს პასუხისმგებლობას მიწოდების დაგვიანებაზე ან ჩაშლაზე.
8.5 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ინფორმაცია გზავნილის მოძრაობის მარშრუტისა და მისი ადრესატისათვის ჩაბარებასთან დაკავშირებით.
8.6 შემსყიდველი უფლებამოსილია დააზღვიოს გზავნილი საკუთარი ხარჯით და აცნობოს მიმწოდებელს.

## 9. მიმწოდებლის უფლება-მოვალეობანი

9.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების შესაბამისად და დადგენილი წესით მიწოდებული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება.
9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
9.3 მიმწოდებელი ვალდებულია მიიღოს შეკვეთა შემსყიდველთან შეთანხმებულ დროსა და ადგილას შეთანხმებულ ვადაში და ყველაზე საიმედო გზით მიაწოდოს მიმღებს გზავნილები.
9.4 მიმწოდებელმა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება გზავნილის მოძრაობისა და ჩაბარების შესახებ.
9.5 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს დამკვეთს ნებისმიერი ცვლილებების შესახებ ფასების, მიწოდების ვადებსა და პირობებთან დაკავშირებით არაუგვიანეს 30 დღისა, სანამ ეს ცვლილება შევა ძალაში.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2012 წლის 1 იანვრამდე.

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არცერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან საკუთარი ვალდებულებების, ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
12.2 გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):
ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა
ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
გ) ეპიდემიები;
დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა, რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ, ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

12.3 მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ფორს-მაჟორულ მოვლენასთან გათანაბრებულია მესამე პირთა ბრალეული, ან არაბრალეული ქმედებანი, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იგულისხმება ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული სიტუაცია, ენერგეტიკული კრიზისი და პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე სხვა გარემოებები.

12.4 ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებულ უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

12.5 ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ ერთმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა.)

12.6 ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

12.7 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებამ, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, თითეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით), ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებებით, რომელიც მიწოდებული იქნება მხარის მიერ იმ მისამართზე, რომელიც მითითებული იქნა შემსყიდველის პირველადი რეგისტრაციის დროს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს ან სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 შემსყიდველის მიერ არასწორი ან არასრული მისამართის, საფოსტო კოდის, ტელეფონის, ან საკონტაქტო პირის არასწორად მითითების შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დაკარგულ, ან დაგვიანებულ გზავნილებზე მიმწოდებელი იხსნის პასუხისმგებლობას. თუ მისამართი შეიცავს მხოლოდ საფოსტო ყუთის

ნომერს და არ არის მითითებული საკონტაქტო პირი და ტელეფონის ნომერი, იგი არასრულად ითვლება და გზავნილი ვერ გაიგზავნება. ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია აცნობოს გამგზავნს და შეასრულოს მისი შემდგომი მითითება. (მისამართის შეცვლა, მისი უკან დაბრუნება);
14.2 მიმწოდებლის მიზეზეით გზავნილის დაკარგვის შემთხვევაში კომპანია ვალდებულია უფასოდ გაუგზავნოს შემდეგი გზავნილი ან დაუბრუნოს გამგზავნს გადახდილი თანხა.

## 15. სხვა პირობები

15.1 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.2 ორივე მხარე იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ ის 2 კვირით ადრე წერილობით შეატყობინებს მეორე მხარეს ამის შესახებ.
15.3 ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
15.4 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალ-მემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, რწმუნებულებისა და მუშაკებისათვის.
15.5 წინამდებარე ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას და შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული და წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.
15.6 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
15.7 თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვლება წინამდებარე ხელშეკრულების მე-16 მუხლში მითითებული რომელიმე რეკვიზიტი, მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.
15.8 მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.
15.9 მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.
15.10 მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.
15.11 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.12 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.13 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც წერილობითი ფორმით შედგა და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

**16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:**

| **შემსყიდველი:** | **მიმწოდებელი:** |
|---|---|
| სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“ | შპს "სკს" |
| მისამართი: დ. აღმაშენებლის №127 | მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ქ.№25; |
| ს/კ 205065196<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>„საქართველოს ბანკი“ ც/ფ<br>კოდი BAGAGE22<br>ანგ/ნ GE04BG0000000119780800 | ს/კ 204885810<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>"თი-ბი-სი"-ბანკი - კოდი **TBCBGE**22<br>ანგ/ნ **GE47TB060000000**22467240 |
| ხელმძღვანელი:<br>ნიკოლოზ მემანიშვილი | გენერალური დირექტორი:<br>ნინო მენთეშაშვილი |